სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 აპრილი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/79

„ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 მარტის № 01-02/50 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №112 დადგენილების ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 მარტის №01-02/62 ბრძანების და ბსუ-ს გამომცემლობის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 26 0000463480, 22.04.2026 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 მარტის №01-02/50 ბრძანების პირველ მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დამტკიცდეს ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ტიტე აროშიძე - საბჭოს თავმჯდომარე, ბსუ-ს რექტორი;

ბ) გიორგი ქათამაძე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე (ძირითადად სასწავლო, სამეცნიერო, სტრატეგიული და ინოვაციური განვითარების მიმართულებით), ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

გ) თამარ სირაძე - საბჭოს წევრი, რექტორის მოადგილე (ძირითადად საზოგადოებასთან, საერთაშორისო ურთიერთობების, სტუდენტთა მომსახურების/კარიერული განვითარებისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით), ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

დ) მერაბ დიასამიძე - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ე) ვლადიმერ ღლონტი - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;

ვ) ნანა ხახუტაიშვილი - საბჭოს მდივანი, ბსუ-ს გამომცემლობის დირექტორი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ზ) რამაზ ხალვაში - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

თ) ვაჟა ვერულიძე - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;
ი) დარეჯან ჯაში - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
კ) ქეთევან დოლიძე - საბჭოს წევრი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
ლ) ნატო შეროზია - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მ) მურმან გორგოშაძე - საბჭოს წევრი, ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
ნ) პაატა ჩაგანავა - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორი;
ო) მარიამ მეტრეველი - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიის დოქტორი;
პ) ოლეგ ჯიბაშვილი - საბჭოს წევრი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის საკვალიფიკაციო მონაცემებით);
ჟ) გულნარა ვერულიძე - საბჭოს წევრი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
რ) ნესტან ვარშანიძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარის ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ბსუ-ს გამომცემლობის ველში).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის აპარატს, ბსუ-ს გამომცემლობას, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტსა და საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს წევრებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე